



ბრძანება N 2

„04“ „01“ 2017 წელი

ქ. თბილისი

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე, 51-ე, 52-ე და 61-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის №714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №163/ზ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად დაინიშნოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურის იურისტი - ირმა ოქროპირიძე.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ცენტრის დირექტორის 2016 წლის 05 აპრილის N79 ბრძანება.
3. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.
4. ბრძანება ძალაში შედის დაინტერესებული პირებისთვის გაცნობისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირებისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6. 0131).

გიორგი მაჩაბელი

დირექტორი